

**ა.(ი).ი.პ.ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლის 2020 წლის
ანგარიში**

ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში საშობაო არდაგეგების შემდეგ სწავლა განახლდა 2020 წლის 15 იანვარს.

სპეციალურ საგნებში მოხდა მეორე სემესტრისათვის განკუთვნილი ნაწარმოებების მიცემა მოსწავლეთათვის, ხოლო თეორიულ საგნებში გაგრძელდა პროგრამით გათვალისწინებული გაკვეთილების ჩატარება.

25 თებერვალს ჩატარდა ღია გაკვეთილები, როგორც თეორიულ საგნებში, ისე ინდივიდუალურ სპეციალობებში, რომელიც შეაფასა ქულებით ადგილობრივი პედაგოგებით დაკომპლექტებულმა კომისიამ.

თებერვლის ბოლოს სკოლაში ჩატარდა შიდა დახურული კონცერტი მოსწავლეების მონაწილეობით, რომელიც მიემდგვნა დედის დღეს.

ეპიდემიის გამო მარტის თვიდან სკოლაში შეწყდა სასწავლო პროცესი და შესაბამისად სწავლება გადავიდა ონლაინ რეჟიმში. პედაგოგები, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ საგნებში ატარებდნენ გაკვეთილებს ახალი ცხრილით სოციალურ ქსელში.

ივნისის თვეში სკოლაში ჩატარდა ყოველგვარი წესების დაცვით დამამთავრებელი კლასის გამოცდები, როგორც სპეციალობაში ასევე თეორიულ საგნებში. მოსწავლეებს გადაეცათ სკოლის დამამთავრებელი მოწმობა. ასევე ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც შეჯამდა 2019-2020 სასწავლო წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები.

ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში სასწავლო პროცესი განახლდა მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ახალი რეგულაციების და გამკაცრებული სამუშაო პირობების დაცვით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შენობაში შემოსულ პირებს უტარდებოდათ თერმოსკრინინგი, ასევე გაკვეთილების ხანგრძლივობა შემცირდა, შესაბამისად ჯგუფურ მეცადინეობებში ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრა 6-7 ბავშვის ოდენობით. სკოლა მკაცრად აკონტროლებდა მშობელთა შენობაში შემოსვლის თუ ინდივიდუალურ გაკვეთილებზე დასწრების პროცესს. ყოველი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ხდებოდა ინსტრუმენტის და საკლასო ოთახის დეზინფექცია შესაბამისი საშუალებებით.

სექტემბრის თვეში დაიწყო მოსწავლეთა მიღების პირველი ეტაპი, რომლის ხანგრძლივობა გრძელდება ოქტომბრის თვის ბოლომდე. ასევე მოხდა პედაგოგებთან მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა და ჯგუფების შედგენა.

ამავე თვეში ჩატარდა დირექციის მიერ პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც პედაგოგებს მიეცათ მითითებები სწავლების ახალი რეგულაციების გათვალისწინების შესახებ.

პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში ირიცხებოდა 167 მოსწავლე, აქედან სექტემბრის თვეში პირველ კლასში ჩაირიცხა 27 პირველი ნოემბრის მდგომარეობით ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში კონტიგენტი განისაზღვრა 177 მოსწავლით.

სკოლას ემსახურება 15 ფორტეპიანოს კლასის პედაგოგი, 1 ვიოლინოს კლასის პედაგოგი, 4 თეორიული კლასის პედაგოგი და 4 საგუნდო, ქართული-ხალხური საკრავების და ფოლკლორული კლასის პედაგოგები.

რაც შეეხება, სოფლის განყოფილებებს:

ნატანების განყოფილება-პირველი ნოემბრის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 19 მოსწავლე, განყოფილებას ემსახურება 5 პედაგოგი.

მაკვანეთის განყოფილება-სკოლაში ირიცხება 8 მოსწავლე, განყოფილებას ემსახურება 2 პედაგოგი.

ბახვის განყოფილება-სკოლაში ირიცხება 4 მოსწავლე. განყოფილებას ემსახურება 1 პედაგოგი.

ნოემბრის თვის მდგომარეობით გრ.კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში სასწავლო პროცესი გრძელდება გეგმიურად ინდივიდუალურ საგნებში სასწავლო კლასებში მოთხოვნილი რეგულაციების გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება ჯგუფურ მეცადინეობებს, გაკვეთილები ტარდება ონლაინ რეჟიმში.

ა.(ი).ი.პ. ოზურგეთის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლის დირექტორი
ლ.შარაშენიძე